ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**№49. 4924309001**
თარიღი:**04/11/2024**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის**

**მაკა ჭელიძის შვებულების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების, „წყალტუბოს მუნიციპალიტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის #36 დადგენილების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 15 ივლისის #22 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **მაკა ჭელიძეს** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, ნება დაერთოს ისარგებლოს გამოუყენებელი ანაზღაურებადი 2023 წლის შვებულებით, 5 სამუშაო დღე, 2024 წლის 4 ნოემბრიდან 8 ნოემბრის ჩათვლით.

2. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის პერიოდში მოვალეობის შესრულება დაევალოს ამავე კომისიის წევრს ირინე ცაავას.

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს საშვებულებო თანხის გაცემა.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ.წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27, ტელ: (0436) 22-50-03, ელ-ფოსტა:
TSKALTUBO.SAKREBULO@GMAIL.COM